პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1979 წელი
შაბათი
7 ივლისი
№ 156 (17501)
ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ □ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ—79



ᲥᲔᲛᲔᲠᲝᲕᲝᲡ საწარმოო გაერთიანება „აზოტში“ მწყობრში ჩადგა სამოტლორის ბუნებრივი გაზის გადასამუშავებელი კომპლექსი „ამიაკ-2“.

ახალი ქიმიური გიგანტი ყოველწლიურად 410 ათას ტონა ამიაკს გამოუშვებს, რომლისგანაც მილიონ-ნახევარი ტონა მინერალური სასუქები შეიძლება დამზადდეს აზოტის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის მეურნეობებისათვის.

სურათზე: „ამიაკ-2“-ის კომპლექსი.

ა. კუზიარინის ფოტო (საკ.სის ფოტოქრონიკა).

ᲛᲬᲧᲝᲑᲠᲨᲘ ᲩᲐᲓᲒᲐ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲒᲘᲒᲐᲜᲢᲘ

ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ!

ᲘᲕᲚᲘᲡᲘ ჩვეულებრივ ყველაზე ცხელი თვეა ჩვენში, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მკათათვის ეს დღეები წლიულს ყველაზე მეტად სპორტსმენებისათვის აცხუნებს. მიზეზი? ინებეთ: საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა, რომელმაც 5 ივლისს ლატვიის ქალაქ იურმალაში აიღო სტარტი, ხოლო პირველ გამარჯვებულს უკვე 9 ივლისს გამოავლენს მოსკოვში.

საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადა ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა პაექრობის ყველაზე დიდი ასპარეზია. ასე იყო ყოველთვის და ასეა ახლაც, თუმცა წლევანდელი ასპარეზობა მაინც გამორჩეულ ხასიათს ატარებს. საქმე ის არის, რომ იგი წინ უსწრებს XXII ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობას, რომელსაც ერთი წლის შემდეგ მოსკოვი უმასპინძლებს. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ ახლანდელი სპარტაკიადა არა მარტო სპორტსმენთა, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის სპორტულ-ორგანიზატორული მუშაობის გენერალური გამოცდა-რეპეტიციაც გახლავთ.

სწორედ ამან განაპირობა სპარტაკიადის მანამდე არნახული მასშტაბი. თავად განსაჯეთ: ასპარეზობაში 10 ათას საბჭოთა ათლეტთან ერთად მონაწილეობას ბიიღებს მსოფლიოს 87 ქვეყნიდან მოწვეული 2000-ზე მეტი სპორტსმენი.

ᲧᲕᲔᲚᲘᲡᲐ ეს კიდევ ერთხელ მოწმობს ჩვენი მასობრივ-ფიზკულტურული მოძრაობისა და მოყვარულთა სპორტისადმი იმ დიდ ყურადღებას, რომელსაც ჩვენი პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი და თავად ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევი იჩენენ ჩვენი მომავალი თაობის შემდგომი ფიზიკური და სულიერი სრულყოფისათვის. ამ ზრუნვას თავისი ნაყოფი მოაქვს: გარდა იმისა, რომ თითოეული მუშა, კოლმეურნე თუ ინტელიგენტი ფიზიკურად მხნედ ეჭიდება დიად საქმეებს, ჩვენი მოყვარული სპორტსმენები წარმატებით იცავენ საბჭოთა სამშობლოს პრესტიჟს ნებისმიერი რანგის შეჯიბრებებში და, კერძოდ, ოლიმპიურ ასპარეზობებზეც, სადაც მათ ბადალი არა ჰყავთ.

საბჭოთა კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ აქ ანგარიშს აბარებენ მოკავშირე რესპუბლიკათა სპორტული დელეგაციებიც.

ამ მხრივ ივლისის წლევანდელმა დიდმა სტარტებმა იმაზეც უნდა გვიპასუხოს, თუ რა მუშაობაა გაწეული ეგრეთ წოდებული ოთხი საანგარიშო წლის მანძილზე ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაში.

დასამალი არაფერია: წინა ორ სპარტაკიადაზე ქართველმა ათლეტებმა პოზიციები დათმეს. მათ ტრადიციული მეხუთე ადგილიდან ჯერ მეექვსეზე გადაინაცვლეს, შემდეგ კი მეშვიდეზე. ამ ჩავარდნებზე წვრილად გვქონდა კიდეც საუბარი ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, მკითხველი თვალნათლივ გვიცნო რესპუბლიკის სპორტული ცხოვრების დღევანდელ ვითარებას, მის პრობლემებსა და პერსპექტივებს. ახლა კი ხაზი უნდა გავუსვათ ერთ გარემოებას: რესპუბლიკის პარტიული ხელმძღვანელობა, მთავრობა უურადღებას არ აკლებენ ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის შემდგომ განვითარებას, ლენინური პრინციპებით ეკიდებიან ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიას და, თუ პარაბლემები ჯერ კიდევ არსებობს, ესეც ლოგიკურია; ლოგიკურია, რადგან ერთი ხელის მოსმით ვერ აღმოფხვრი იმ დიდ ნაკლოვანებებს, რომლებიც სპორტშიც გვქონდა. წლების მანძილზე თვითდინებაზე მიზებული მატარებლის მთელი სიჩქარით ამოძრავებას და სწორ ლიანდაგზე გადაყვანას მძლავრი ლოკომოტივები სჭირდება. და ჩვენც ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲘᲡᲐ შრომითა და ბრძოლით ვქმნით ასეთ ლოკომოტივს და სადაც არის მის მაქსიმალურ სიმძლავრესაც მივაღწევთ.

რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი ზრუნვა უნდა აისახოს ქართველ სპორტსმენთა ახლანდელ გამოსვლებში. რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის წინაშე კი არცთუ ისე იოლი ამოცანა დგას — რადაც უნდა დაგვიჯდეს წინა სპარტაკიადასთან შედარებით ერთი საფეხურით მაინც მაღლა უნდა ავიწიოთ და საერთო გუნდურ ჩათვლაში მეექვსე ადგილი დავიკავოთ. დიახ, ამოცანა იოლი არ არის (მოსწავლეთა სპარტაკიადისა და ახალგაზრდულ ასპარეზობათა შემდეგ, რომელთა ქულები საერთო ჩათვლაში შედის, ჩვენს მთავარ კოსკურენტებს — უზბეკეთისა და ყაზახეთის ნაკრებ გუნდებს შესაბამისად 450,94 და 99,31 ქულით ჩამოვრჩებით), მაგრამ არც მიუღწეველია. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სიმტკიცეს გამოიჩენენ და როგორი სერიოზულობით მოეკიდებიან ამ ამოცანას საქართველოს სპორტსმენები. ჩვენ გვწამს, რომ მეწვრთნელები უკანასკნელი რჩევა-დარიგებას არ დაიკლებენ თავიანთ აღზრდილებს, გვწამს, რომ ისეთი სახელმოხვეჭილი და ძლიერი სპორტსმენები, როგორიც ვ. სანეევი, ნ. გაფრინდაშვილი, მ. ჩიბოურდანიე, ლ. თედიაშვილი, ქ. ლოსაბერიძე, ვ. ბლაგიძე, ნ. ალექსანდრია, ს. გუნდმა, შ. ჩოჩიშვილი, ჯ. ნიკარაძე, ა. მეტრეველი, თ. კაკულია და სხვები არიან, კარგ მაგალითს მისცემენ ახალბედებს, თავიანთი წარმატებებით აღფრთოვანებენ და თან გაიყოლიებენ გამარჯვებისაკენ. იმედი გვაქვს, რომ მოჭიდაველების, ფეხბურთელების, ხელბურთელების, ჩოგბურთელების, კალათბურთელების, მესტენდურების და სხვათა გვერდით წინა სპარტაკიადასთან შედარებით იღბლიანად იასპარეზებენ სხვა სახეობათა სპორტის წარმომადგენლებიც.

მაგრამ, როდესაც ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთ წარმატებებს ვუსურვებთ, მარტოოდენ მათი სპორტული მიღწევები როდი გვაქვს მხედველობაში. ოლიმპიური დევიზი ამბობს, რომ მთავარია მასში მონაწილეობა და არა გამარჯვება. ჩვენი სპორტსმენების საბრძოლო მიჯნები დღესდღეობით ასეთი ფუფუნების საშუალებას არ გვაძლევს, დაკარგული ადგილის დაბრუნებისთვის უნდა ვიღვაწოთ, მაგრამ ძველი ოლიმპიური დევიზი მაინც არ კარგავს ძალას. მედლებისა და ქულების მოპოვების პარალელურად სათუთად უნდა მოვუაროთ დიდი ხნის მონაპოვარს — ერთა ძმობასა და ინტერნაციონალიზმს. სპორტულ პაექრობაში კი ყველაზე მეტად სწორედ ურთიერთდამოკიდებულების ასეთი ფორმა იმარჯვებს. ახლანდელი სპარტაკიადა ამ მხრივაც გამორჩეული იქნება თავისი მასშტაბით — მასში ხომ უამრავი უცხოელი ათლეტი იასპარეზებს.

მტკიცე დისციპლინა და მოკალაჭეობრიობა, თითოეული სპორტსმენის თვითშეგნება და იდეურ-პოლიტიკური დონე აუცილებლად გამოხატავს სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების სახეს. „მსოფლიოში არიან ᲙᲐᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲘᲒᲘᲗ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲙᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ-ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲕᲔᲠᲡᲘᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ. ᲐᲛ ᲙᲘᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲛᲖᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲔᲕᲗ.

რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დიდი ზრუნვა უნდა აისახოს ქართველ სპორტსმენთა ახლანდელ გამოსვლებში. რესპუბლიკის სპორტული დელეგაციის წინაშე კი არცთუ ისე იოლი ამოცანა დგას — რადაც უნდა დაგვიჯდეს წინა სპარტაკიადასთან შედარებით ერთი საფეხურით მაინც მაღლა უნდა ავიწიოთ და საერთო გუნდურ ჩათვლაში მეექვსე ადგილი დავიკავოთ. დიახ, ამოცანა იოლი არ არის (მოსწავლეთა სპარტაკიადისა და ახალგაზრდულ ასპარეზობათა შემდეგ, რომელთა ქულები საერთო ჩათვლაში შედის, ჩვენს მთავარ კოსკურენტებს — უზბეკეთისა და ყაზახეთის ნაკრებ გუნდებს შესაბამისად 450,94 და 99,31 ქულით ჩამოვრჩებით), მაგრამ არც მიუღწეველია. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ სიმტკიცეს გამოიჩენენ და როგორი სერიოზულობით მოეკიდებიან ამ ამოცანას საქართველოს სპორტსმენები. ჩვენ გვწამს, რომ მწვრთნელები უკანასკნელ რჩევა-დარიგებას არ დაიკლებენ თავიანთ აღზრდილებს, გვწამს, რომ ისეთი სახელმოხვეჭილი და ძლიერი სპორტსმენები, როგორიც ვ. სანეევი, ნ. გაფრინდაშვილი, მ. ჩიბოურდანიე, ლ. თედიაშვილი, ქ. ლოსაბერიძე, ვ. ბლაგიძე, ნ. ალექსანდრია, ს. გუნდმა, შ. ჩოჩიშვილი, ჯ. ნიკარაძე, ა. მეტრეველი, თ. კაკულია და სხვები არიან, კარგ მაგალითს მისცემენ ახალბედებს, თავიანთი წარმატებებით აღფრთოვანებენ და თან გაიყოლიებენ გამარჯვებისაკენ. იმედი გვაქვს, რომ მოჭიდაველების, ფეხბურთელების, ხელბურთელების, ჩოგბურთელების, კალათბურთელების, მესტენდურების და სხვათა გვერდით წინა სპარტაკიადასთან შედარებით იღბლიანად იასპარეზებენ სხვა სახეობათა სპორტის წარმომადგენლებიც.

მაგრამ, როდესაც ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთ წარმატებებს ვუსურვებთ, მარტოოდენ მათი სპორტული მიღწევები როდი გვაქვს მხედველობაში. ოლიმპიური დევიზი ამბობს, რომ მთავარია მასში მონაწილეობა და არა გამარჯვება. ჩვენი სპორტსმენების საბრძოლო მიჯნები დღესდღეობით ასეთი ფუფუნების საშუალებას არ გვაძლევს, დაკარგული ადგილის დაბრუნებისთვის უნდა ვიღვაწოთ, მაგრამ ძველი ოლიმპიური დევიზი მაინც არ კარგავს ძალას. მედლებისა და ქულების მოპოვების პარალელურად სათუთად უნდა მოვუაროთ დიდი ხნის მონაპოვარს — ერთა ძმობასა და ინტერნაციონალიზმს. სპორტულ პაექრობაში კი ყველაზე მეტად სწორედ ურთიერთდამოკიდებულების ასეთი ფორმა იმარჯვებს. ახლანდელი სპარტაკიადა ამ მხრივაც გამორჩეული იქნება თავისი მასშტაბით — მასში ხომ უამრავი უცხოელი ათლეტი იასპარეზებს.

მტკიცე დისციპლინა და მოკალაჭეობრიობა, თითოეული სპორტსმენის თვითშეგნება და იდეურ-პოლიტიკური დონე აუცილებლად გამოხატავს სპარტაკიადაზე ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენების სახეს. „ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲙᲐᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲘᲒᲘᲗ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲢᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲙᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ-ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲘᲕᲔᲠᲡᲘᲝᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲣᲚᲘ. ᲐᲛ ᲙᲘᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ ᲛᲖᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲝᲡ ᲘᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲛᲐᲯᲔᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲥᲡᲘᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲫᲚᲐᲕᲠᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲕᲐᲦᲬᲔᲕᲗ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲓᲦᲔᲝᲑᲘᲗᲘ ᲐᲡᲔᲗᲘ ᲤᲣᲤᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲠᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲓᲐᲛᲔᲡᲘ. ᲛᲐᲗ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲓᲐᲜ ᲜᲘᲚᲐᲓᲐᲒᲘᲜᲪᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲚᲐᲒᲛᲐᲜᲘ — ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲜᲐ. ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲘ — ᲐᲠᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲐᲛᲘᲔᲠᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲤᲚᲐᲒᲛᲐᲜᲘ — ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲜᲐ. ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲓᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲣᲯᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲘᲒᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲜᲓᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲛᲘᲠᲘᲐ. ᲘᲡᲔᲗ ᲛᲔᲑᲠᲫᲛᲔᲓᲔᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲛᲘᲠᲝᲜ ᲥᲘᲪᲕᲐᲫᲔ, ᲒᲠᲒᲒᲝᲚ ᲥᲝᲠᲓᲐᲫᲔ, ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲒᲝᲠᲓᲐᲫᲔ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲯᲐᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲯᲐᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ, ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲣᲯᲘᲡ ᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲠᲒᲛᲘᲡᲘ. ᲐᲮᲚᲐ ᲘᲒᲘ ᲛᲝᲛᲐᲯᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡ ᲗᲐᲠᲒᲛᲘᲡᲘ. ᲘᲡᲔᲗ ᲛᲔᲑᲠᲫᲛᲔᲓᲔᲔᲑᲘᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲐᲠᲘᲐᲜ ᲜᲘᲜᲝ ᲯᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲒᲠᲘᲒᲝᲠᲘ ᲯᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ, ᲑᲘᲠᲑᲘᲚᲘ ᲒᲝᲠᲓᲐᲫᲔ, ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲒᲝᲠᲓᲐᲫᲔ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘ ᲯᲐᲮᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ, ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲓᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ, ᲑᲘᲠᲑᲘᲚᲘ ᲒᲝᲠᲓᲐᲫᲔ, ᲛᲘᲰᲔᲘᲚ ᲒᲝᲠᲓᲐᲫᲔ

საქართველოს
კომკავშირის
ცენტრალური
კომიტეტის
პლენუმის
შესახებ

ინსტიტუტი — კადრების სამჭედლო

ალვგარდოთ ახალი გზების მაძიებლები

50 წლის წინათ, როდესაც განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაარსდა, გაზეთი „კომუნისტი“ იტყობინებოდა, ჩვენში 4212 წვრილ გლეხურ მეურნეობაზე (20.723 სული) ერთი აგრონომი მოდისო.

ახლა კი რესპუბლიკაში ბევრი ისეთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობაა, სადაც 40-50 უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონე სპეციალისტი მუშაობს.

არცთუ შორეულ წარსულსა და აწმყოს შორის ასეთი დიდი კონტრასტი იმაზე მეტყველებს, რომ ბევრი რამ გაკეთდა კვალიფიციური კადრებით სოფლის მეურნეობის უზრუნველსაყოფად. მაგრამ ჯერ კიდევ მწვავედ დგას სპეციალისტების მომზადების ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა.

დროის ეს მოთხოვნა კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს დღეს, როცა რესპუბლიკის მშრომელები აქტიურად ემზადებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მორიგი პლენუმისათვის, რომელიც კადრებთან მუშაობის, მათი მომზადებისა და გადამზადების შემდგომი სრულყოფის ამოცანებს განიხილავს.

ცხოვრება მოითხოვს კიდევ უფრო სრულყოფილ სწავლების შინაარსი, ფორმები და მეთოდები, მომავლის ამოცანების შესაბამისად წარმართოთ მთელი სასწავლო-აღმზრდელობითი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რათა კურსდამთავრებულს ღრმა ცოდნასთან ერთად შეეძინოთ იმის უნარი, რომ დამოუკიდებლად, შემოქმედებითად წყვეტდეს ცხოვრებისეულ ამოცანებს, წარმოების ეფექტიანობის აღმავლობას აზარდეს მთელ თავის ცოდნასა და გამოცდილებას.

ეს ამოცანები მკაფიოდ აისახა ინსტიტუტის კოლექტივისათვის მუშაობის სახელმძღვანელო დოკუმენტად ქცეულ სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებებში, რომლებსაც საფუძვლად დაედო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მიერ საბჭოს ამ სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული მითითებანი და დასკვნები.

კმაყოფილებით უნდა აღვნიშნოთ, რომ საბჭოს გადაწყვეტილებები გეგმაზომიერად ხორციელდება, რაც კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ინსტიტუტის ცხოვრების ყველა უბანზე.

განხორციელებულმა ღონისძიებებმა, უწინარეს ყოვლისა, ის ნაყოფი გამოიღო, რომ გაუჯობესდა სტუდენტთა აკადემიური წარმატება. თუ ინსტიტუტი 1973 წელს ამ მაჩვენებლის მიხედვით (86 პროცენტი) სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებს შორის 83-ე ადგილზე იყო, ახლა მან პირველ ათეულში გადაინაცვლა. საშუალო აკადემიური წარმატება აქ 94 პროცენტამდე გაიზარდა.

იმ დროულ და პრინციპულ ღონისძიებათა შედეგად, რომლებიც ამ ბოლო წლებში განხორციელდა რესპუბლიკაში საზოგადოების მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად, თვალსაჩინო პოზიტიური ძვრები მოხდა ახალგაზრდობის სულიერ ცხოვრებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სტუდენტობას დღითი დღე სულ უფრო უმტკიცდება იმის რწმენა, რომ მხოლოდ პატიოსანი შრომით შეიძლება მიაღწიონ საწადელს. დღეს დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უმაღლესი სკოლის მუშაობაში ადრე დაშვებული შეცდომები, დამახინჯებანი და მათი წარმომშობი სოციალური ფესვები ძირითადად აღმოფხვრილია. თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული ზნეობრივად ამაღლებული და გონებრივად განვითარებული სპეციალისტების მომზადების საქმეში. ტრადიციად დამკვიდრდა, რომ უმაღლეს სასწავლებელში მოხვდება ის, ვინც მუყაითად იშრომა და ვისაც სათანადო ცოდნა აქვს. ამაში დარწმუნდა ყველა, ვისაც მისაღებ გამოცდებთან ჰქონდა საქმე. ეს კი მარტო კანონიერების აღდგენა როდია. ეს კომუნისტური ცხოვრების წესის პრაქტიკული გამარჯვებაც არის, რაც უდიდეს მონაპოვრად უნდა მივიჩნიოთ.

ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული აგრობიოლოგიური და საინჟინრო პრობლემები, ამიტომ საჭირო გახდა ამ ორივე დარგის მცოდნე, ფართო პროფილის სპეციალისტის — აგრონინჟინრის მომზადება. ამგვარად, მომწიფდა საკითხი, რომ სწავლული აგრონომის ნაცვლად მოვამზადოთ აგრონინჟინერი, აგრონინჟინერ-მელიორატორი, საკვებწარმოების აგრონინჟინერი და სხვ. ინსტიტუტმა უკვე შეიმუშავა კადრების მომზადების პროგნოზი, რომლის საფუძველზე ზემდგომმა ორგანოებმა ნება დაგვრთეს მიმდინარე წლიდან საბჭოთა კავშირში პირველად ჩვენ დაგვეწყო აგრონომების ნაცვლად აგრონინჟინრების მომზადება. ეს დიდი ნდობაც არის და დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს.

ბოლო წლებამდე ისე ეგონათ, თითქოს უმაღლესი სკოლა მხოლოდ კადრების მომზადებას უნდა ემსახურებოდეს, მეცნიერულ კვლევაში მათი მონაწილეობა კი შემთხვევითი ხასიათისა იყო. ამ მცდარმა შეხედულებამ გათიშა სასწავლო პროცესი და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რამაც ორივეს დიდი ზიანი მიაყენა. მოწინავე უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო და სამეცნიერო პროცესების ინტეგრაციის გამოცდილების განზოგადების საფუძველზე შევიმუშავეთ ღონისძიება ჩვენი ინსტიტუტის ბაზაზე სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის შესაქმნელად. ცენტრის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმართულებად სამთო მიწათმოქმედების საწარმოო ძალთა განვითარების მეცნიერული საფუძვლების შემუშავება დავსახეთ.

სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში დაგვიანებით განხორციელდა სასწავლო პროცესისა და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შერწყმა, რომელიც მომავალ სპეციალისტს საშუალებას აძლევს გამომიშაოს კვლევის ჩვეები, გაეცნოს თავის სპეციალობაში მეცნიერების ძირითად პრობლემებს.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადებისათვის სრულიად აუცილებელია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის კარგად აღჭურვილი ბაზები. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად მთავრობის დადგენილებისა, რესპუბლიკაში დღემდე არ არის შექმნილი ისეთი სანიმუშო მეურნეობები და საწარმოები, რომელთა ტექნოლოგიური აღჭურვილობა და წარმოების კულტურა აკმაყოფილებდეს წაყენებულ მოთხოვნებს. ამის გამო იძულებული გავხდით სასწავლო პრაქტიკისათვის ბაზები გვეძია ოდესის, მოსკოვის, ხარკოვის, ლენინგრადის ოლქებსა და სხვა მომძე რესპუბლიკებში. დაბეჯითებით მოვითხოვთ, რომ სამინისტროებმა, რომლებსაც კადრებს ვუმზადებთ, ქმედითი ღონისძიებანი განახორციელონ პრაქტიკის სანიმუშო ბაზების მოსაწყობად. ასევე მიზანშეწონილად მიგვაჩნია სტუდენტთა სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის ობიექტად გამოყენებული იყოს ამავე სამინისტროების, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და საცდელი სადგურების მდიდარი ექსპერიმენტული ბაზები და ლაბორატორიები. კარგი იქნებოდა, ეს დაკანონებულიყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სათანადო გადაწყვეტილებით.

სერიოზული ნაკლოვანებანია სპეციალისტთა მომზადებისა და განაწილების დაგეგმვაშიც. სამწუხაროდ, არც ერთ სამინისტროსა და უწყებას არა აქვს მეცნიერულად შემუშავებული პროგნოზი საჭირო კადრების მოთხოვნილებაზე, რასაც ხშირად კურიოზამდე მივყავართ. უფრო მეტიც, ზოგჯერ სპეციალობების გახსნა მოთხოვნილებით კი არ არის ნაკარნახევი, არამედ ცალკეულ დაინტერესებულ პირთა გაქნილობის შედეგად ხდება, ეს კი კადრების მომზადებაში დაუსაბუთებელ პარალელიზმსა და სხვა უხერხულობებს იწვევს. დროა ეს საქმე საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტმა სათანადო სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მოაგვაროს.

ასევე მოსაგვარებელია ინსტიტუტის კურსდამამთავრებელთა სტაჟირება. ამ დარგში მოქმედ წესებს არც ერთი უწყება არ იცავს და ბევრგან ეს მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი ღონისძიება უგულებელყოფილია. სტაჟირება კი მომავალ სპეციალისტს ეხმარება შეისწავლოს თავისი სამუშაოს სპეციფიკა.

ინსტიტუტმა შეიმუშავა ადგილებზე სტაჟირების მოწყობის რეკომენდაციები და დაუგზავნა სათანადო უწყებებს პრაქტიკული განხორციელებისათვის.

როგორც ინსტიტუტს, ასევე შესაბამის უწყებებს დიდი ზრუნვა გვმართებს ადგილებზე ახალგაზრდა სპეციალისტების შესანარჩუნებლად. ამაზე მიგვითითებს ის ფაქტი, რომ 3 წლის განმავლობაში გეგმით განაწილებული ახალგაზრდა კადრებიდან ადგილზე აღმოჩნდა მხოლოდ 58,8 პროცენტი.

განაწილების ადგილზე ახალგაზრდა სპეციალისტები ფეხს რომ ვერ იკიდებენ, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ზოგი რაიონის პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები, მეურნეობათა ხელმძღვანელები ახალბედა კადრებს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, არ ეხმარებიან პირველი სიძნელეების დაძლევაში, ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში კი არ ზრუნავენ კურსდამავრებულთა კეთილმოწყობილი ბინებით უზრუნველყოფისათვის და ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის. ამასთან ხშირად ახალგაზრდა სპეციალისტებს დანიშნულებისამებრ არ იყენებენ, ზოგჯერ კი საკანცელარიო დავალებებით ტვირთავენ.

ადგილებზე ახალგაზრდა სპეციალისტების შენარჩუნების, მათი საქმიანობის გაუმჯობესების ერთ-ერთ ნაკად გზად მიგვაჩნია ინსტიტუტში სასწავლებლად საგზურებითა და მეურნეობების სტიპენდიებით მოვლინებულთა რიცხვის გადიდება. ამ მხრივ კი მეტი მუშაობა გვმართებს, ვინაიდან პირველ კურსზე მეურნეობათა სტიპენდიებით მოვლინებულთა რაოდენობა შესაბამის საკავშირო მაჩვენებელს მკვეთრად ჩამორჩება. ადგილზე კადრების შენარჩუნებას ხელს შეუწყობს ისიც, თუ კურსდამთავრებულს ატესტატი მხოლოდ სავალდებულო სამწლიანი საწარმოო სტაჟის შესრულების შემდეგ მიეცემა.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი კადრების და სპეციალისტთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა. აქაც სერიოზული ნაკლოვანებებია.

წლითიწლობით არ სრულდება კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის მსმენელთა დაკომპლექტების გეგმები. ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო ორგანოები ფორმალურად ეკიდებიან მსმენელთა შერჩევას, ხშირია შემთხვევა, როდესაც კურსებზე მსმენელს სპეციალობის მიხედვით არ გზავნიან.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილებზე ჯერ კიდევ არ ხდება სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამაღლება და იგი არაორგანიზებულია. ამ მიმართულებით ჩვენ სსრ კავშირის სხვადასხვა ოლქისა და რესპუბლიკის გამოცდილების შესწავლის საფუძველზე შევიმუშავეთ მეთოდიკური მითითებები საწარმოო **პირობებში** სპეციალისტთა წარმობას მოუწყვეტლივ კვალიფიკაციის ამაღლების მოსაწყობად, რომლებსაც მცხეთის რაიონში პარტიის რაიკომთან ერთად პრაქტიკულადაც ვახორციელებთ.

საჭიროა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში ფართოდ ჩაებან რესპუბლიკის ყველა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულების პროფესორ-მასწავლებლები, მეცნიერი მუშაკები, საზოგადოება „ცოდნის“ პროპაგანდისტები, რადიო-ტელევიზია, რაიონების პარტიული და საბჭოთა აქტივი. ჩვენ მზად ვართ მათ დავეხმაროთ სასწავლო პროგრამებით, გეგმებით, მეთოდიკური მითითებებითა და მაღალკვალიფიციური პედაგოგებით.

☐ საგეგმო ორგანოების ცუდი კოორდინაცია ☐ ფერხდებიან კოოპერირებული საწარმოები ☐ დაბალია ნედლეულის ხარისხი ☐ ვალში არიან მფლობელები ☐ ცუდია შრომის ორგანიზაცია ☐ საფრთხე ექმნება საკონტროლო ციფრების რეალიზაციას

ზესტაფონელი მეტალურგები მრავალჯერ ეზიარნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვების სიხარულს. მათ არაერთხელ დაუმსახურებიათ ქვეყნის შავი მეტალურგიის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

თითქოსდა ყველაფერი კარგად მიდიოდა. მეათე ხუთწლედის საკონტროლო ციფრების მიხედვით წარმოების ზრდის დინამიკა აქ საკმარისზოლად უნდა ამაღლებულიყო, მაგრამ ასე როდი მოხდა. განვლილ ხუთ თვეში ფეროშენადნობელებმა ქვეყანას 3.136 ათასი მანეთის პროდუქცია დააკლეს. არ შესრულდა პროდუქციის რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების და რენტაბელობის ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი. მარტო პროდუქციის გაძვირებით საწარმომ 371 ათასი მანეთი იზარალა.

ეს ფაქტი ძალზე საგანგაშოა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საწარმო კოოპერირებულია ქვეყნის უმსხვილეს მეტალურგიულ ქარხნებთან. შიმდინარე წლის ხუთ თვეში ზესტაფონელებმა ფეროლეგირების ფოლადსამსმენელი ქარხანას 800 ტონა ნახშირბადიანი ფეროშენადნობი და 300 ტონა სილიკომანგანუმი დააკლეს. საშუალო ნახშირბადიანი მანგანუმი და სილიკომანგანუმი გათვალისწინებული ოდენობით ვერ მიიღეს ორიოლის ფოლადსადგლინავმა, ჩეზოვსარისა და ლიპეცკის სატრაქტორო ქარხნებმა.

ქარხანას წლიურად დაგეგმილი პროდუქციის მისაღებად 632 ათასი ტონა პირველი ხარისხის მანგანუმის მადანი ესაჭიროება, მას კი წლის პირველ ნახევარში 257 ათასი ტონა, ე. ი. წლიური ფიგურის 40 პროცენტი გამოუყვეს.

ნაკლოვანებებია აგრეთვე მადნის დროულად მიწოდების საქმეში. ჭიათურის სამთამადნო კომბინატმა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა პირველ კვარტალში ვერ უზრუნველყო დაგეგმილი პირველი ხარისხის მადნით და ეს ხარვეზი მეორე ხარისხის მადნით შეივსო. მასში კი ლითონის შემცველობა 3 პროცენტით ნაკლებია. კიდევ უფრო გაუარესდა მდგომარეობა მეორე კვარტალში: გადიდდა მისამე ხარისხის და კარბონატული მადნების მოწოდება, რამაც ღუმელების მწარმოებლობის დაქვითება, შრომის ნაყოფიერების შემცირება, ენერგიის და ნედლი მასალების გადახარჯვა გამოიწვია.

ელექტროლიტური ლითონური მანგანუმის მისაღებად საწარმო უნდა ღებულობდეს პროფსიდს, რომელშიც ლითონის შემცველობა 78 პროცენტს შეადგენს. ფაქტიურად, მის ნაცვლად, სამთოელები გზავნიან კონცენტრატს, რომლის ლითონის შემცველობა 67-68 პროცენტსაც არ აღემატება. სწორედ ამის მიზეზია, რომ ქარხნის მეასამე საამქრო სანახევრო დატვირთვით მუშაობს და, ცხადია, დავალებებს ვერ ართმევს თავს.

შემდეგ, წლის დამდეგს მშენებლებმა და მემონტაჟეებმა წარმოებას საეკსპლოატაციოდ გადასცეს აგლომერატის ფაბრიკა. ეს მოხდა აქტის შედგენით, მაგრამ სულ სხვა რამეზე მეტყველებს ფაქტი. კოდად დამონტაჟებულმა დანადგარებმა პროდუქციის გამოშვება ვერ უზრუნველყვეს მაისის ბოლომდე, რის შედეგადაც ქარხანაში აგლომერატის დეფიციტი შეიქმნა.

წარმოების რიტმი წლის დამდეგს ელექტროენერგიის და გაზის მოწოდების შეზღუდვითაც დაირღვა. უგაზობის გამო, მაგალითად, მთლიანად გაჩერდა ელექტროლიბის მასის დამამზადებელი უბანი, რომელიც ნედლეულის მთელი წარმოების 75 პროცენტს იძლეოდა. ამასთან ზაპოროჟიედან შემოზიდული ელექტროდების მასით ყველა საწარმოო ტრავმის საშიშროება. ეს სრულებითაც არ აღელვებთ მშენებლებს და ქარს გაატანეს დაპირება ახალი საგრანულაციო აუზის აშენების შესახებ.

ობიექტური ხელის შემშლელი მიზეზების გარდა არის სხვა სერიოზული ნაკლოვანებანიც. უწინარეს ყოვლისა, ეს ეხება შრომის ორგანიზაციასა და დისციპლინას. აი ზოგიერთი ფაქტი: პირველ საამქროში ღუმელზე უნდა მუშაობდეს 9 კაცი, აქ კი ხშირად მდნობელთა ბრიგადა 5-6 კაცით არის დაკომპლექტებული. ბუნებრივია, ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია ტექნიკური უსაფრთხოების წესების და თვით ტექნოლოგიური რეჟიმის დარღვევაც.

წარმოებას აკლია წამყვანი პროფესიის მუშები — მდნობელები, მექორეები, ჩამომსხმელი მანქანის და ელექტროხიდური ამწის მემანქანეები, ზეინკლები, ელექტროზეინკლები, ელექტრომონტიორები. მარტო მაისში წარმოებიდან 74 კაცი წავიდა; აქედან პირადი განცხადებით — 30, გაცდენისათვის მოიხსნა — 14, პენსიაზე გავიდა — 12 და არმიაში გაიწვიეს 12 კაცი. მათ ნაცვლად სამუშაოზე მხოლოდ 27 კაცია მიღებული. დიდი ოდენობით აკლია მუშახელი აგრეთვე მწყობრში ახლახან ჩამდგარ აგლომერატის ფაბრიკას. ოპერაფერს ვამბობთ წარმოების კულტურაზე, ესთეტიკაზე, თვალსაჩინოებაზე. შეიდომა არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ წარმოების ეს შინაგანი რეზერვები აქ თითქმის უგულებელყოფილია და შედეგიც სავალალოა.

შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს საკითხის სერიოზულ შესწავლას, ზემდგომი კომპეტენტური ორგანოების მიერ უფრო მეტ ოპერატიულ დახმარებას, თორემ საფრთხე იქმნება არა მარტო წლევანდელი დავალების შესრულებას, არამედ საქმე ხდება ხუთწლედის დამამთავრებელი წლისათვის ნავარაუდევი პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობა!

ო. ნიჟარაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ახალგაზრდობა — სოფელს!

ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი ამზადებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის აგრონომ-ეკონომისტებს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოსაგვარიშე-ბუღალტრებს. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ ისინი სამუშაოდ უბრუნდებიან მშობლიურ სოფლებს, ხულოს, ქედის, შუახევის, მახარაძის, ქობულეთის, ლანჩხუთის და სხვა რაიონებს.

სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ სოფლის მეურნეობის 100-მდე სპეციალისტმა უკვე მიიღო დიპლომები. წარმატებით დაამთავრეს ტექნიკუმი გუგული ნიფარაძემ, მაყვალა კახიძემ, ნოდარ პაჭასაძემ, შალვა შავაძემ, ნუგზარ შარაძემ, ეთერ ანთაძემ და ბევრმა სხვამ.

სურათებზე: ბათუმის ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში; მასწავლებელი იური ძირკვაძე და მომავალი აგრონომები ბონდო ქვილითაია, დავით მახარაძე და სოხო გამარჯვებაშვილი.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).



ოფიციალური განკარგულება

შევამციროთ სითბოს დანაკარგები

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღო დადგენილება „სამინაო-სამოქალაქო და საწარმოო დანიშნულების შენობებსა და თბოქსელებში სითბოს დანაკარგების შემცირების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სამინაო-სამოქალაქო და საწარმოო დანიშნულების ბევრ შენობასა და თბოქსელებში იკარგება დიდძალი სითბო, რაც გათბობის, ვენტილაციისა და ცხელი წყლით მომარაგებისათვის სითბოს მნიშვნელოვან გადახარჯვას იწვევს. შენობებისა და თბოქსელების დაპროექტების დროს სათანადოდ არ ითვალისწინებენ სათბობის მომჭირნედ ხარჯვის მოთხოვნებს: ხდება შენობების ზედმეტი შემინვა, იყენებენ გარე კედლების მეტისმეტად განვითარებულ პერიმეტრებს, ითვალისწინებენ კოშკის ტიპის ბევრი სახლის მშენებლობას, მთლიანად ვერ იყენებენ სამრეწველო საწარმოთა საამქროების ბლოკირების შესაძლებლობებს, ვერ უზრუნველყოფენ თბოქსელების საკმაოდ საიმედო იზოლაციას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის სახმშენსა და სსრ კავშირის სახმშენთან არსებულ სამოქალაქო მშენებლობისა და არქიტექტურის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს დაავალა 1979-1980 წლებში შეიტანონ საჭირო ცვლილებანი შენობათა, ნაგებობათა და თბოქსელების დაპროექტებასა და მშენებლობის სამშენებლო და ტექნოლოგიურ ნორმებსა და წესებში.

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომები, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან:

უზრუნველყონ შენობების, ნაგებობებისა და თბოქსელების დროული რემონტი და ზამთრის პირობებში საექსპლოატაციოდ მათი მომზადება;

1979 წლიდან მოყოლებული შენობათა და ნაგებობათა კაპიტალური და მიმდინარე რემონტის დროს განახორციელონ სათანადო თბოდაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებანი;

უზრუნველყონ 1980 წლისა და მომდევნო წლებისათვის თითოეულ საწარმოში (ორგანიზაციაში), ყველა შენობაში, ნაგებობასა და თბოქსელში სითბოს დანაკარგებისა და სათბობის ნორმატიული ხარჯვის შემცირების ღონისძიებანი;

არ დაუშვან საექსპლოატაციოდ ისეთი შენობების, ნაგებობებისა და თბოქსელების მიღება, რომლებსაც დარღვეული ექნებათ პროექტებით გათვალისწინებული თბოდაცვის მოთხოვნები;

განიხილონ სარემონტო-საექსპლოატაციო სამსახურების მუშაობის მდგომარეობა და განახორციელონ მათი კვალიფიციური კადრებით განმტკიცებისა და საჭირო ტექნიკური საშუალებებითა და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის ღონისძიებანი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უნდა უზრუნველყონ კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საბჭოებისათვის ცხელი წყლის ხარჯვის მოწესრიგების ღონისძიებათა შეშუშავება და დამტკიცება მისი არარაციონალური მოხმარების შეწყვეტის მიზნით.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს წინადადება მიეცათ 1981-1985 წლების გეგმებში გაითვალისწინონ ქალაქების, სამრეწველო კვანძების, საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო კომპლექსებისა და სითბოს სხვა მომხმარებლების ცენტრალიზებული წყალმომარაგების შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, ამასთან მხედველობაში იქონონ თბოელექტროცენტრალებისა და რაიონული საქვაბეების ხვედრითი წონის გადიდება სითბოს წარმოებაში და წვრილი ინდივიდუალური საქვაბეების რიცხვის შემცირება.

იმ მიზნით, რომ მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყოს ბინების დასათბუნებელი მასალებით, სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრომ, „ცენტროსოიუზმა“ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა 1979 წლიდან მოყოლებული უნდა გაფართოონ თბოპიროლისაწოლაციო და მამკვრივებელი მასალებისა და ნაწარმის გაყიდვა.

სამაგისტრალო მილსადენების დაცვის წესები

მაგისტრალური მილ-სადენების დაცვის უზრუნველსაყოფად და მათი ექსპლოატაციის ნორმალური პირობების შესაქმნელად, აგრეთვე მილსადენებზე უბედური შემთხვევების აღკვეთის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დამტკიცებულია სამაგისტრალო მილსადენების დაცვის წესები.

განსაზღვრულია მილსადენების ტრასების, მდინარეებისა და არხების გადაკვეთის ადგილების აღნიშვნის წესი, დადგენილია ტრასებისა და მილსადენების წყალქვეშა გადასასვლელების გასწვრივ დასაცავი ზონები, აგრეთვე მილსადენებთან დაკავშირებული ნაგებობების (სატუმბი, საკომპრესორო და გასანაწილებელი სადგურების, სარეზერვუარო პარკების და სხვათა) გაყოლებით მდებარე დასაცავი ზონები.

დაცულ ზონებში იმ საწარმოების (ორგანიზაციების) წერილობითი თანხმობის მიუღებლად, რომლებიც მათ ექსპლოატაციას ეწევიან, აკრძალულია ყოველგვარი მშენებლობა, ხეებისა და ბუჩქების დარგვა, საკვების, სასუქისა და მასალების დასაწყობება, გზებისა და გასასვლელების გაკეთება მილსადენების ტრასებზე, საშენებლო, სამონტაჟო და ასაფეთქებელ სამუშაოთა წარმოება, პირუტყვის ძოვება, ხარწყულებლების მოწყობა, ყინულის დამზადება და ზოგიერთი სხვა სახეობის სამუშაოს მოწყობა.

წესებით აკრძალულია დაცულ ზონებში ყოველგვარი ისეთი მოქმედება, რამაც შეიძლება დაარღვიოს მილსადენების ნორმალური ექსპლოატაცია ან შედეგად მოჰყვეს მათი დაზიანება.

იმ საწარმოებს (ორგანიზაციებს), რომლებიც ექსპლოატაციას უწევენ მილსადენებს, გაზის სახელმწიფო ზედამხედველობის და სამთო-ტექნიკური სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოებს უფლება მიეცათ შეაჩერონ სამუშაოები, რომლებიც წესების დარღვევით სრულდება.

თანამდებობის პირნი და მოქალაქენი, რომლებსაც ბრალი მიუძღვით წესების დარღვევაში, პასუხისგებაში მიეცემიან დადგენილი წესის მიხედვით.

ტყავისა და ქურქ-ბეწვეულის ნედლეულის დამზადების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილა ტყავისა და ქურქ-ბეწვეულის ნედლეულის დამზადების ორგანიზაციის გაუმჯობესების, მისი ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა საკითხი და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს, „ცენტროსოიუზს“, სსრ კავშირის დამზადების სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესდეს ტყავისა და ქურქ-ბეწვეულის ნედლეულის დამზადების ორგანიზაცია, ამასთან იხელმძღვანელონ იმით, რომ სახელმწიფოს მაქსიმალურად უნდა მიეყიდოს ეს ნედლეული, რომელსაც იღებენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე მოქალაქეთა პირად მეურნეობებში.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა განახორციელოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო და სხვა ღონისძიებათა კომპლექსი, რათა გაუმჯობესდეს პირუტყვის მოვლა-შენახვა, გაძლიერდეს სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა დაცვა ინფექციური სნეულებებისა და გაწყდომისაგან, აგრეთვე თავიდან აიცილონ პირუტყვს, კერძოდ, წმიდასაწმისიანი ჯიშის ცხვარს კანის დაავადებანი და კანის საფარის ტრავმული დაზიანებანი ცხვრის, აგრეთვე საქურქე ტყავის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით.

გათვალისწინებულია მთელი რიგი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ პირუტყვის საკლავი პუნქტებისა და აღნიშნული ნედლეულის პირველადი დამუშავება-შენახვის ობიექტების მშენებლობის უზრუნველყოფას, მათს აღჭურვას მოწყობილობითა და ინვენტარით, ხორცის მრეწველობის საწარმოებისათვის განკუთვნილი ტექნოლოგიური მოწყობილობის წარმოების ზრდას, აგრეთვე ყასაბთა კადრების მომზადებასა და გადამზადებას.

დადგენილია, რომ 1980 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმო-ორგანიზაციებს უნდა მიეცეთ გაყიდული პროდუქციის ღირებულების 30 პროცენტი დანამატი, თუ სამომხმარებლო კოოპერაციას მიჰყიდიან იმ ტყავისა და ქურქ-ბეწვეულის ნედლეულის სულ ცოტა 95 პროცენტს, რომლებიც მეურნეობებს დაუგროვდებათ პირუტყვის შიდასამეურნეო საჭიროებისათვის დაკვლისა და არაინფექციური სნეულებებისაგან პირუტყვის გაწყდომის შედეგად. (საკლესი).

სუსხიანი სტრიქონები

ფეროშენადნობელთა გასაჭირი

ყურაღლებას მომიჯნავე საწარმოებს!

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების, სამხრეთ ოსეთის საოლქო, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოების ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების, დედათა და ბავშვთა დაცვის მუდმივი კომისიების თავმჯდომარეთა თათბირი.

მოხსენება გააკეთა ბავშვის საიროშორისო წლის მოწყობის რესპუბლიკური კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. ე. ჩერქეზიამ. მან ილაპარაკა ღონისძიებებზე, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება ბავშვთა ცხოვრების პირობების, მათი სწავლა-განათლების, აღზრდის, ჯანმრთელობის დაცვისა და დასვენების გასაუმჯობესებლად, ბედნიერი დედა-შვილობის უზრუნველსაყოფად. სერიოზული ყურადღება დაეთმო იმას, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო უნდა გააუმჯობესონ საქმიანობა მოზარდი თაობის ყოველმხრივი ჰარმონიული განვითარებისათვის, ყველგან შეასახან ხორცი დევიზს „ყოველივე საუკეთესო — ბავშვებს“. განსაკუთრებით აღინიშნა, თუ რაოდენ აუცილებელია შესრულდეს რესპუბლიკის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეცხრე და მეთერთმეტე სესიების დადგენილებანი, რომლებითაც განსაზღვრულია ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის გაფართოებისა და მათი მუშაობის დონის

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს ახალი შემადგენლობის არჩევასთან დაკავშირებით შეიქმნა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სასამართლო კოლეგიები.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ლ. ნ. სმირნოვის პოზიციების გამო პლენუმმა განიხილა „იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან გამომდინარე სასამართლოების ამოცანების საკითხი.

განიხილეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ პრაქტიკულად სასამართლოები სისხლის სამართლის სასჯელის ზომებს. მიღებულ დადგენილებაში სასამართლოებს მიეცათ მითითება, რომ სასჯელის დანიშვნის დროს განუხრელად შეასრულონ ინდივიდუალური მიდგომის კანონის მოთხოვნები, უზრუნველყონ კანონით გათვალისწინებული სასჯელის მკაცრი ზომების განუხრელი გამოყენება იმ პირებისადმი, რომლებმაც ჩაიდინეს მძიმე დანაშაული, წინათ სასამართლევი იყვნენ, არ სურთ პატიოსანი შრომით ცხოვრება. ამასთან იმ პირთა მიმართ, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს ნაკლებად საშიში დანაშაული და შეიძლება მათი გამოსწორება საზოგადოებისაგან იზოლაციის გარეშე, შეიძლება შეეფარდოთ სასჯელის ზომები, რომლებიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან.

პლენუმმა განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ იყენებენ სასამართლოები პრაქტიკულად კანონმდებლობას დავის გადაწყვეტის დროს, რომლის ერთ-ერთი მხარეა კოლმეურნეობა ან საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაცია.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტები სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილების გამო. (საკდესი).

7 ივლისი კოოპერაციის საერთაშორისო დღეა

დიდი მოვალეობა

ტრადიციულად ივლისის პირველ შაბათს, მთელ მსოფლიოში აღინიშნება კოოპერაციის საერთაშორისო დღე.

აზრი კოოპერაციის საერთაშორისო დღის დაწესების თაობაზე პირველად დაიბადა 1921 წელს ჟ. ბაზელის საერთაშორისო კოოპერაციულ ყრილობაზე, ხოლო საერთაშორისო კოოპერაციული კავშირის „ალიანსის“ აღმასრულებელი კომიტეტის 1923 წლის 21 აპრილის სხდომაზე დაწესდა საერთაშორისო კოოპერაციის დღე — ივლისის თვის პირველი შაბათი. პირველად იგი 1923 წლის 7 ივლისს აღინიშნა.

მსოფლიოს პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე კოოპერაციული მოძრაობა მშრომელთა ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი მოძრაობაა, რომელიც მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური ძალა, საერთაშორისო მუშათა და გლეხთა მოძრაობის შემადგენელი ნაწილი გახდა. იგი თავის რიგებში 500 მილიონზე მეტ კაცს აერთიანებს.

საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობაში დიდი წვლილი შეაქვთ საბჭოთა კოოპერატორებს. მათ კავშირურთიერთობა აქვთ დამყარებული მსოფლიოს 90-ზე მეტ ქვეყანასთან.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის სამომხმარებლო კოოპერაცია საერთაშორისო კოოპერაციული გაერთიანების „ალიანსის“ წევრია. ცენტროსოიუზის სისტემაში შედის 6500 სოფლის კოოპერატივი, 2 ათასი რაიკოოპერატივი, 1100 რაიკოოპკავშირი, 157 საოლქო, სამხარეო და ავტონომიური რესპუბლიკის სამომხმარებლო კავშირი, მოკავშირე რესპუბლიკათა 15 სამომხმარებლო კავშირი.

ჩვენი რესპუბლიკის კოოპერატორებს სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული კურსის განხორციელებისათვის ბრძოლაში ფასდაუდებელ დახმარებას უწევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის V პლენუმის გადაწყვეტილებები, რომელთა მთავარი არსია „ყველაფერი ადამიანისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის“.

რაც დრო გადის, მით უფრო ცხადი ხდება ის დიდი სასიკეთო ძვრები, კონკრეტული შედეგები, რომლებსაც უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თანამიმდევრულ, მიზანდასახულ და შეუპოვარ ბრძოლას, მოღვაწეობას უნდა ვუმადლოდეთ. ამ ვითარებაში აშკარად გამოიკვეთა საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში დადებითი ეკონომიკური ასპექტები შესაბამის საერთო-საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით და სოციალური ასპექტი, რაც კოოპერაციის მუშაკთა მატერიალური და კულტურული დონის ზრდით გამოიხატება.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში სისტემატურად სრულდება საცალო საქონელბრუნვისა და მოგების გეგმები, მცირდება დებიტორულ-კრედიტორული დავალიანებები, უყაირათო ხარჯები, უფრო ეფექტიანად ვიყენებთ ძირითად და საბრუნავ საშუალებებს, სისტემატურად იზრდება ვაჭრობის მუშაკთა საშუალო ხელფასი.

საქართველოს კოოპერატორები ამ წარმატებებთან ერთად კარგად ხედავენ და ესმით, გრძნობენ, რომ ეს მიღწევები პირველი ნაბიჯებია დასახულ ამოცანათა ხორცშესხმის გზაზე. რომ საჭიროა უფრო კონკრეტული ბრძოლა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ და ამ ბრძოლის ლოგიკური დასრულება.

ცეკავშირის სისტემამ მიმდინარე ხუთწლედის სამი წლის საქონელბრუნვის გეგმა შესრულა 100,4 პროცენტით! ხოლო საზოგადოებრივი კვების ბრუნვის გეგმა 102,3 პროცენტით.

ასევე გადაჭარბებით შესრულდა 1978 წლის საქონელბრუნვის გეგმა. მეათე ხუთწლედის სამ წელიწადში საქონელბრუნვა ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 42 მანეთით ანუ 11,1 პროცენტით და 1978 წელს 417 მანეთი შეადგინა.

სამომხმარებლო კოოპერაციის მრეწველობამ მთლიანი პროდუქციის გამოშვების გეგმა 103,5 პროცენტით შეასრულა. ზრდის ტემპმა 6,7 პროცენტი შეადგინა და 1977 წელთან შედარებით გამოშვებულია 12,3 მილიონი მანეთის დამატებითი პროდუქცია.

1978 წლის კაპიტალური დაბანდების გეგმა შესრულებულია 107 პროცენტით. მათ შორის: სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 119 პროცენტით, შესრულებულია აგრეთვე ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა.

საექსპლოატაციოდ გადაეცა 2790 კვ. მეტრი საერთო ფართობის და 311 ადგილიანი 9 საავაჭრო ცენტრი, 6 უნივერმაღი, სამრეწველო საქონლის 20, სასურსათო საქონლის 61, ყოველდღიური მოთხოვნილების 40 მაღაზია და 497-ადგილიანი საზოგადოებრივი კვების 55 საწარმო.

ბოლო წლებში სისტემის მასობრივი პროფესიის მუშაკთა შრომის ანაზღაურების სრულყოფის მიზნით შემუშავდა და კოოპორგანიზაციებს დაეგზავნათ ახალი რეკომენდაციები მატერიალური სტიმულირების ფონდიდან მუშაკთა წახალისების შესახებ. გადაისინჯა შრომის სანარდო ანაზღაურების პირობები საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაკებისათვის და სხვა, რამაც გარკვეული ეფექტი მოგვცა და დახლის მუშაკთა საშუალო თვიური ხელფასი 139 მანეთამდე გაიზარდა. ამ მაჩვენებლით ცეკავშირი საბჭოთა კავშირში პირველ ადგილზეა. გაიზარდა აგრეთვე საზოგადოებრივი კვების მუშაკთა საშუალო თვიური ხელფასი.

ცეკავშირმა 1980 წელს მოსახლეობას უნდა მიაწოდოს 300 მილიონი ეგზემპლარ ძალიან ფასიანი ტანსაცმლეულის საქონელი, ვიდრე 1975 წელს. საოჯახოებრივი კვების ტერიტორიაზე ... 82,2 პროცენტი, მათ შორის საკოთხარი წარმოების პროდუქციისა — 35,1 **პროცენტით.**

სოფლის მშრომელთა სამსახურში ჩადგება თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი 10 საბითუმო სარაიონთაშორისო ბაზა, 300-მდე საცალო სავაჭრო, 260-მდე საზოგადოებრივი კვების ობიექტი, მრავალი მაცივარი და ხილბოსტნეულის საცავი.

ცეკავშირის 60-ათასიანი კოლექტივის საარსებო ამოცანაა, როგორც ეს ამას წინათ გამართულ საქართველოს კოოპერატორთა XVIII ყრილობაზე აღინიშნა, პირნათლად დაძლიოს ეს მაღალი მიჯნები და მოსახლეობის კარგი სავაჭრო მომსახურებით თავისი წვლილი შეიტანოს მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

რ. კრიჭინაშვილი,
ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

სახელოვანი წლისთავი

ჭალირი, 6 ივლისი. (საკდესი). გუშინ ალკირელმა ხალხმა აღნიშნა სახელოვანი თარიღი — დამოუკიდებლობის გამოცხადების მე-17 წლისთავი. საზეიმოდაა მორთული ალკირის დედაქალაქის ქუჩები და მოედნები. დღესასწაულთან დაკავშირებით ქალაქებსა და სოფლებში იმართება დემონსტრაციები და მიტინგები.

1962 წელს, კოლონიზატორთა განდევნის შემდეგ, ალკირი დაადგა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან თავისუფალი საზოგადოების მშენებლობის გზაზე ღრმა სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარდაქმნათა განხორციელების კურსს. კოლონიზატორთა მიწების, უცხოეთის ბანკებისა და კომპანიების, მათ შორის ნავთობის კომპანიების ქონების ნაციონალიზაციის შედეგად, ალკირელი ხალხი გახდა თავისი ქვეყნის სრულფასოვანი ბატონ-პატრონი.

ალკირელი ხალხი დიდად აფასებს ალკირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის მრავალმხრივ თანამშრომლობას სოციალისტურ ქვეყნებთან, მათ შორის საბჭოთა კავშირთან, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული ეკონომიკის წარმატებით განვითარებასა და საკუთარი კადრების მომზადებას.

ს. ბაზარგანის გამოსვლა

თეირანი, 5 ივლისი. (საკდესი). ირანის პრემიერ-მინისტრი მეჰდი ბაზარგანი გამოვიდა ირანის ტელევიზიით. იგი შეეხო ქვეყნის წინაშე მდგარ პრობლემებსა და დროებითი მთავრობის ამოცანებს. მ. ბაზარგანმა, კერძოდ, განაცხადა, რომ მინისტრთა კაბინეტის წინაშე დასახულ მიზნებს ვერ მიაღწევს და აშკამად მთავრობის ზოგიერთი დაწესებულება უარესად მუშაობს ვიდრე შაჰის რეჟიმის დროს. მისი თქმით, ამგვარი სიტუაცია შეიქმნა იმის შედეგად, რომ „რევოლუციური კომიტეტები, რომლებიც აყენებენ „სპირისპირო მოთხოვნებს“, განუწყვეტლივ ეწინააღმდეგებიან მთავრობის საქმეებში“.

პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ სახელმწიფო დაწესებულებათა ნორმალური მუშაობისათვის საჭიროა დიდძალი კვალიფიციური სპეციალისტი. ასეთი კადრების მწვავე ნაკლებობის გამო, თქვა მან, იძულებული ვართ მივმართოთ იმ პირებს, რომლებიც წინა რეჟიმის დროს იყვნენ სახელმწიფო სამსახურში.

პრემიერ-მინისტრმა შეეხო მთავრობისადმი წაყენებულ ბრალდებებს, მათ შორის იმას, რომ იგი „იცავს ამერიკელთა იმპერიალისტურ ინტერესებს“ და განაცხადა, რომ „რევოლუციის განხორციელება შეუძლებელია ერთ დღეში“ და რომ ირანს „შესაძლებლად არ მიაჩნია მთელი ურთიერთობა გაწყვეტოს გარე სამყაროსთან და დაარღვიოს უცხოეთის სახელმწიფოებთან ხელმოწერილი ყველა კონტრაქტი. ჩვენ არ შეგვიძლია ახლა ქარს გავატანოთ ამ კონტრაქტების მიხედვით დაბანდებული კაპიტალი. მწარე ჭეშმარიტება ის არის, რომ თუმცა შაჰი და მისი სისტემა გაეცალნენ აქაურობას, მაგრამ ჩვენ კიდევ მრავალი წლის მანძილზე უნდა ვიწვნიოთ მისი პოლიტიკის შედეგები“.

□

თეირანი, 6 ივლისი. (საკდესი). ისლამის რევოლუციურმა საბჭომ გუშინ მიიღო კანონი ირანის მრეწველობის დაცვისა და განვითარების შესახებ. ახალი კანონის შესაბამისად, მოხდება მეტალურგიული, გემთსაშენებელი, საავიაციო, საავტომობილო, სამთომომპოვებელი, კვებისა და ქვეყნის მრეწველობის მთელი რიგი სხვა დარგების, მსხვილი საწარმოებისა და სასარგებლო წიაღისეულის საბადოების ნაციონალიზაცია.

თეირანის რადიოთი ირანის პრემიერ-მინისტრმა მ. ბაზარგანმა განაცხადა, რომ ნაციონალიზებული იქნება 50-ზე მეტი მსხვილი ფაბრიკანტისა და კაპიტალისტის საკუთრება, რომლებიც უდიდეს მოგებას იღებდნენ შაჰის რეჟიმის დროს, და რომელთაგან ?ევრი რევოლუციის შემდეგ საზღვარგარეთ გაიქცა. ბაზარგანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ კანონი ინებნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მიღწევას, ექსპორტის გადიდებასა და დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას.

საერთაშორისო ცხოვრება

ლენინგრადის ფურცლიდან

უდიდესი წვლილი მშვიდობის საქმეში

ვაშინგტონი, 5 ივლისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა ოფიციალური დოკუმენტის სახით გაავრცელა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის ხელშეკრულების ტექსტი. მას წამძღვარებული აქვს სახელმწიფო მდივნის ს. ვენსის მოკლე განცხადება, რომელიც გამოთქვამს „მტკიცე რწმენას, რომ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულება არსებითად განამტკიცებს სტრატეგიულ სტაბილურობას და ხელს შეუწყობს ბირთვული ომის წარმოქმნის შესაძლებლობის შემცირებას“. საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმება, აღნიშნავს სახელმწიფო მდივანი, უდიდესი წვლილია შეერთებული შტატებისა და მთელი მსოფლიოს ეროვნული უშიშროების განმტკიცებაში. ს. ვენსი აღნიშნავს, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია დაინტერესებულია იმით, რომ ამერიკის სენატმა რაც შეიძლება მალე დაამტკიცოს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულება.

ხელშეკრულებას მხარი დაუჭირეს სენატის ისეთმა გავლენიანმა წევრებმა, როგორიც არის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერი ა. კრენსტონი, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ფ. ჩერჩი, სენატის იურიდიული კომისიის თავმჯდომარე ე. კენედი, აგრეთვე ცნობილი სენატორები გ. ჰარტი, ა. რიბიკოვი, ჰ. ნელსონი და ბევრი სხვა.

რაც უფრო ახლოვდება დრო, როცა ამერიკის სენატმა უნდა განიხილოს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულება, შეერთებულ შტატებში მით უფრო აქტიურად მოქმედებენ ის წრეები და ძალები, რომლებსაც სურთ ჩაშალონ ეს მორიგება ან, უკიდურეს შემთხვევაში, ხელშეკრულების გულდასმით შეწონასწორებულ და შეთანხმებულ ტექსტში შეიტანონ სხვადასხვა „შესწორება“ ან „დაზუსტება“. უკანასკნელ დღეებში სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულებას თავს დაესხნენ ევროპაში ნატოს გაერთიანებული შეიარაღებული ძალების ყოფილი უმაღლესი მთავარსარდალი ჰეიგი და გადამდგარი გენერალი უესტმორლენდი. არსებითად ისინი გამალებული შეიარაღების განგრძობის მომხრეებად გამოდიან, რომელსაც დიდი მოგება მოაქვს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისათვის, და ცდილობენ დაამტკიცონ, თითქოს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულება „ამკვიდრებს სსრ კავშირის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ უთანასწორობას“, „მრავალ უპირატესობას ანიჭებს საბჭოთა კავშირს“ და ა. შ. მსგავს „არგუმენტებს“ საკადრისი პასუხი გასცა კონგრესმენმა ლ. ესპინმა.

მის მიერ გამოქვეყნებულ გამოკვლევაში კონკრეტული ფაქტებით უცილობლად დასტურდება, რომ საბჭოთა კავშირმა და შეერთებულმა შტატებმა უკანასკნელ ათწლეულში მიახლოებით პარიტეტს მიაღწიეს სტრატეგიულ შეტევითს შეიარაღებაში, ამიტომაც სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ეტაპის ხელშეკრულება შეესაბამება ორივე ქვეყნის ინტერესებს.

ერაყმა ცნო

ბაღდადი, 6 ივლისი. (საკდესი). ერაყმა ცნო ნიკარაგუის ეროვნული აღორძინების დროებითი დემოკრატიული მთავრობა ნიკარაგუელი ხალხის ერთადერთ კანონიერ წარმომადგენლად. ეს გადაწყვეტილება, ხაზგასმულია საგარეო საქმეთა სამინისტროს აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში, შეესაბამება ერაყის ეროვნულ პოლიტიკას, რომელიც მხარს უჭერს იმპერიალიზმის, რასიზმისა და სიონიზმის წინააღმდეგ მებრძოლ მსოფლიო განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ბარბაროსები არავის იწყრიან

ამ უკანასკნელ ხანს როდეზიის ავიაცია, აგრეთვე როდეზიელ დივერსანტთა და იმპერიალისტთა დამქაშების ბანდები რამდენჯერმე მეკობრულად დაესხნენ თავს აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოებს — ზამბიას, ბოტსვანას, მოზამბიკსა და ანგოლას. ამ ქვეყნებში ბარბაროსულად დაბომბეს აგრეთვე ის ბანაკები, სადაც რასისტული როდეზიის ლტოლვილნი ცხოვრობენ. თავდასხმების შედეგად დაიღუპა ასობით ადამიანი, მათ შორის მოხუცები, ქალები და ბავშვები.

სურათზე: პაქტონ მასავანამ მძიმე დამწვრობა მიიღო, როცა ზიმბაბვეელ ლტოლვილთა ბანაკს ზამბიაში თავს დაესხა როდეზიის თვითმფრინავები და ნაპალმის ბომბები ჩამოყარა.

საკდესის ფოტოქრონიკა.

თავს აცვევენ „ბოღვესრიგებას“

სან-ხოსე, 5 ივლისი. (საკდესი). შეერთებული შტატები კვლავ ცდილობს სახალხო აჯანყებით მოცელ ნიკარაგუას თავს მოახვიოს „მოწესრიგება“, რომელიც ვაშინგტონის ინტერესებს შეესაბამება. გუშინ მანაგუაში ახალი ინსტრუქციებით დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ლ. პეზულო. ორი დღის მანძილზე მას კონსულტაციას უწევდნენ ვაშინგტონში, სადაც იგი მიიღეს პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა და მისმა თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ზ. ბჟეზინსკიმ. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო დავალებათა ელჩი ცენტრალურ ამერიკაში უ. ბოუდლერი კოსტა-რიკაში გაფრინდა ეროვნული აღორძინების დროებითი დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებისათვის.

ყველა ამ დიპლომატიური მანევრის მთავარი მიზანია არ დაუშვან, რომ ნიკარაგუაში დიქტატორული რეჟიმის დამხობის შემდეგ ხელისუფლების სათავეში ჩაუდგნენ ჭეშმარიტი პატრიოტები.

ლონდონი, 5 ივლისი. (საკდესი). როგორც „დეილი ტელეგრაფი“ იტყობინება, აჯანყებულებმა ალყა შემოარტყეს დედაქალაქ მანაგუას. დღეს ისინი კონტროლს უწევენ 24 ქალაქს. ეროვნული გვარდიის ნაწილები დაიშალა, სანდინოს სახელობის ეროვნული განთავისუფლების ფრონტი რიცხობრივად სჭარბობს სომოსას ჯარებს. მისი რაზმები ამჯერად კარგად არიან შეიარაღებული.

ფოტო ამხილებს

მოკლედ

ყოველი მხრიდან

6 ივლისი

რომი. ქრისტიანმა დემოკრატმა ჯ. ანდრეოტიმ, რომელსაც იტალიის პრეზიდენტმა ა. პერტინიმ დაავალა ქვეყნის ახალი მთავრობის შექმნა, დაიწყო კონსულტაციები პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან გაკეთილშობილური სამთავრობო კრიზისის მოწესრიგებისათვის. გუშინ იგი შეხვდა კომუნისტური, სოციალისტური, სოციალ-დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების დელეგაციებს. კონსულტაციები დამთავრდება შაბათს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტის კანდიდატის ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის დელეგაციასთან შეხვედრით.

ბეირუთი. შეერთებული შტატების მოწოდებანი დაიწყონ მოლაპარაკება პალესტინელებთან, მორიგი მოტაუუბაა, რომლის დახმარებით იმპერიალისტები ცდილობენ განამტკიცონ თავიანთი პოზიციები ახლო აღმოსავლეთში, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ პალესტინის განთავისუფლების დემოკრატიული ფრონტის განცხადებაში. მთელი ლაპარაკი რეგიონში „ამერიკის ახალი ინიციატივის“ შესახებ, რომელშიც თითქოს პალესტინის პრობლემა განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს, მოწმობს მხოლოდ კემპ-დევიდის კურსის ჩაფუშვას. მისი გამტარებლები ცდილობენ პალესტინელები აიძულონ მიუსხდნენ მოლაპარაკების მაგიდას ეგრეთ წოდებული „ადმინისტრაციული ავტონომიის“ შესახებ, რომელიც ნიშნავს მათი სამშობლოს ოკუპაციის დამკვიდრებას, ხაზგასმულია დოკუმენტში. (საკდესი).

მეცნიერება—წარმოებას

მართვის ავტომატიზებული სისტემის „რთვლის“ რეპეტიცია

წლევანდელ შემოდგომაზე თელავის რაიონში მევენახეობის პრაქტიკაში პირველად რთველს „უხელმძღვანელებს“ მოსავლის აღების და ღვინის ქარხნებში გადამუშავებისათვის ტრანსპორტირების მართვის ავტომატიზებული სისტემა.

ამ მოვლენისათვის სამზადისად იქცა რეპეტიცია, რომელიც ამ დღეებში თბილისში გამართეს. მართვის ავტომატიზებული სისტემის „რთვლის“ შემქნელებმა — ორგანიზაციისა და მართვის პრობლემების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ლ. გიგინეიშვილი.

...ხუზუნებს ელექტრონული აპარატურა. მარდად მუშაობს გამომთვლელი კომპლექსის პროგრამისტი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ინჟინერი გ. ზკუროვა. შტაბის გაანგარიშებანი გადაეცა მანქანის კოდში. გადის სულ რამდენიმე წუთი და ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის ტელეტაიპი უკვე იძლევა ინფორმაციას, თუ როგორ იკრიფება და იგზავნება ყურძენი ყოველი საათის განმავლობაში შტაბის ხელმძღვანელობის მიერ არჩეული სტრატეგიით.

მაგრამ ეს რა ხდება? მთელ რიგ ღვინის ქარხნებთან თორმეტი საათისათვის დადგა დატვირთული მანქანების სოლიდური რიგი...

როგორღა მიდის მუშაობა ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის მიერ შემოთავაზებული პროგრამით? — აქ მოსავლის ასაღები კონვეიერი რიტმულად მოქმედებს.

— მოდით, გავიმეოროთ ამოცანა, — ამბობს მ. ბაბუნაშვილი.

— მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, — გვიხსნის რეპეტიციის შედეგს ლ. გიგინეიშვილი. — ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანის მიერ გაანგარიშებულ სტრატეგიაში ხორცი შეისხა მრავალი წლის გამოცდილებამ, რომელიც საბჭოთა მეცნიერებმა და სამეურნეო მუშაკებმა შეიძინეს ისეთი პასუხსაგები კამპანიების ორგანიზაციის საქმეში, როგორიც არის ალოობა.

რთვლის ორგანიზაციის სამეცნიერო ცენტრის შექმნაში აქტიურად მონაწილეობდნენ თელავის რაიონის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, რვა დაინტერესებული სამინისტროს, მათ შორის სოფლის მეურნეობის და ავტოტრანსპორტის, მთელი რიგი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წარმომდგენლები.

რეპეტიციას ესწრებოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ს. ხაბეიშვილი.

კ. ცხომელიძე,
საქინფორმის კორ.

მცხეთა — ქალაქ-მუზეუმი

ის, რაც მომავალს ემსახურება

კულტურის ძეგლები და მშრომელთა აღზრდა

ხუთასი ოცი საუკუნის ბინადარი, ბერძენ-ბერბერ-ებრაელ-ქართველ-ალანთა ეროვნებისა, ბერძენ-ებრაელ-ალანთა ენის ამ ბოლო მატარებელ ტომ-ეროვნებისა, ბერძენ-ებრაელ-ალანთა ენის ამ ბოლო ... ...

ᲔᲚᲐᲓᲘᲛᲘᲠ ᲛᲐᲘᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲓᲦᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

მთელი ხმით

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ კეთილი საქმის დროს ჩვენ, საბჭოთა ადამიანები დიდი ლენინის სახელს ვიხსენებთ. მის ხსოვნას ვუძღვნით გულთბილ სიტყვებსა და ყვავილების თაიგულებს. ასე იყო ამჯერადაც. ვ. მაიაკოვსკის დღეების მონაწილეებმა გვირგვინები მიიტანეს პროლეტარიატის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ძეგლთან, ვაგზლისპირა მოედანზე რომ აღმართულა. ალბათ არავის უმღერია ლენინისათვის ისე და არავის დაუახლოვებია მისი უდიდესი საქმეები ჩვენთვის იმგვარად, როგორც ეს მაიაკოვსკიმ შეძლო პოეზიაში. ამიტომაც დიდი სითბო და სიმართლე ახლდა თან ამ ცერემონიალს.

ახალგაზრდობა უძღვებოდა ყოველივეს. საერთოდ, ახალგაზრდობა ჭარბობს ამ ზეიმზე, ახლა რომ დაიწყეს თავისი პოეტური სიტყვის აყღერება და თითქოს ნახტომისათვის ემზადებიან, დიად დღევანდელობას რომ უმღერიან მთელი ხმით, როგორც ეს რევოლუციის ტრიბუნს ძალუძდა.

— ყოველი წაკითხვის შემდეგ მაიაკოვსკი სრულიად ახლებურად მეჩვენება, — გვეუბნება ახალგაზრდა ტაჯიკი პოეტი გ. საფიევა, — ის ხან რევოლუციის მონაპოვარის ერთგულ სამსახურს გვასწავლის, ხანაც მგრძნობიარე ლირიკოსად გვეველინება. ფაქტი ერთია, ჩვენ უნდა ვისწავლოთ ასეთი პოეზიით წინსვლა და ცხოვრება. მაიაკოვსკი ჩემთვის კიდევ უფრო ახლებური გზაა აქ, ამ დღეებზე. არ გეფერებთ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ასეთი მგრგვინავი პოეტური ხმა მხოლოდ ამ მიწაზე უნდა შობილიყო...

შემდეგ ხარისხის სახლი ელოდა სტუმარ-მასპინძელს. შენობაში, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ გაიხსნა, თავმოყრილია ინდუსტრიული ქუთაისის, მშრომელი ქუთაისის საწარმოთა პროდუქციის საუკეთესო ნიმუშები. დღეების მონაწილეებმა ინტერესით დაათვალიერეს ექსპოზიცია.

ახლა კი ქუთათურთა სიმამაცე — ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანა გველოდა. აქაც მაიაკოვსკი შემოგვეგება ქარხნის ეზოში კედელზე გამოყვანილი სიტყვებით: ლენინი ცოცხლობდა, ლენინი ცოცხლობს, ლენინი იცოცხლებს მარად!

ქარხნის ვეებერთელა საამქროებში სტუმრებს მეგზურობდა და ქართველ ავტომშენებელთა ყოველდღიურ ცხოვრება-საქმიანობაზე ესაუბრებოდა ქარხნის დირექტორი ვ. ხარებავა.

მოეწყო სახელდახელო მიტინგი, რომელსაც მარტო მიტინგს ვერ დაარქმევ. ეს იყო ზეიმი ჭეშმარიტი პოეზიისა, რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდილი თაობისა, რომელსაც ძველ-რბილში გასჯდომია მაიაკოვსკის ლექსის სიმხურვალე.

— ქარხნის ახალგაზრდობა არა მარტო საუკეთესო პროდუქციისათვის იბრძვის, მათ კარგი ლექსის ყადრიც გაეგებათ, — გვეუბნება ალკკ კომიტეტის მდივანი ნ. ცაგარეიშვილი, — ჩვენ ზნირად ვაწყობთ პოეზიის საღამოებს, საუბრებს ამა თუ იმ პოეტის ცხოვრება-შემოქმედებაზე. ეს ყოველივე კი შრომაში გვეხმარება. მადლობა უნდა ვუთხრათ ამ დღეების ორგანიზატორებს, რადგან თითქოს ყოველი ჩვენგანი გრძნობს მაიაკოვსკის ფართო ნაბიჯებს მშობლიურ მიწაზე.

მიტინგს ხსნის ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანი ს. კურტანიძე. შემდეგ გამოდის საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი დ. კვიცარიძე. უკრაინელი პოეტი ვ. კოროტჩი მიესალმება ავტომშენებლებს: დაე ისევე საჭირო იყოს ჩვენი პოეზია ხალხისათვის, როგორც მათ თქვენი ნახელავი, თქვენი მანქანები სჭირდებათ, — ამბობს იგი.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან პოეტები ჯ. ჩარკვიანი და პ. პერებიინისი, ა. ტკაჩენკო და ლ. ნუცუბიძე, დ. ბედიანიძე და დ. მჭედლური. უნდა გენახათ, როგორი ტაშით და გაცისკროვნებული სახით ხვდებოდა მათ ქარხნის მუშა-ახალგაზრდობა. და როცა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა გ. საღარაძემ გალაკტიონ ტაბიძის „დროშები ჩქარა“ წაიკითხა, იგი ხელმეორედ გამოიძახეს, და ახლა შეკრებილნი ლადო ასათიანის ცნობილი ლექსის „სალაღობოს“ მოსმენით დატკბნენ...

სტუმრებს სასიამოვნო მოგონებად დარჩებათ ბაგრატის ტაძრის ნანგრევების დათვალიერება, გელათის დიდებული სანახაობა, სადაც გაიმართა სახალხო აკადემიის სამეცნიერო საბჭოს სხდომა თემაზე „ვ. მაიაკოვსკი და საქართველო“.

სხდომა გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა გრიგოლ აბაშიძემ. მოხსენება გააკეთა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა პროფესორმა გ. ციციშვილმა.

სხდომის მონაწილენი დამსწრეთ საინტერესოდ ესაუბრნენ იმ ურთიერთობაზე, რომელიც რევოლუციის პოეტს ჰქონდა ქართულ კულტურასთან.

დღეს მაიაკოვსკის დღეების მონაწილეებს აფხაზეთიდან და აჭარიდან ჩამოსული სიტყვის ოსტატები შეუერთდნენ. მართალია ამ დღეებში ქუთათურები განსაკუთრებით იჩემებენ მაიაკოვსკის დღეების მასპინძლობას, მაგრამ ეს დღეები მთელს საქართველოს ეკუთვნის, ყველას გულის ნაწილია.

ნაშუადღევს დღეების მონაწილენი გაემგზავრნენ პოეტის მშობლიურ ბაღდათში, სადაც გაიმართა დიდი ლიტერატურული საღამო. „ვალში ვარ შენთან, მოწმენდილო ბაღდათის ზეცავ!“. ყველა ვალი გაგიხარეს შენ, კობწია ზეცის თავანო, დიდმა პოეტმა თავისი უბერებელი, მარად ჩვენ გვერდით მყოფი, მარად უკვდავი პოეტური სიტყვით.

მაიაკოვსკის სრულიად საკავშირო დღეებში მონაწილეობენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ნენუქიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჟ. კ. შარტავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე პ. კ. ლუჩინსკი.

დ. ᲒᲔᲓᲔᲜᲘᲫᲔ,
Ვ. ᲛᲐᲠᲓᲐᲚᲔᲘᲣᲨᲕᲘᲚᲘ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠᲔᲡ-ᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ.

ᲛᲐᲡᲗᲐᲜ ᲐᲛᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ

ᲕᲐᲮᲘᲗ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲒᲖᲔᲒᲖᲔ

ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲪᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲪᲜᲝᲑᲘᲐᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲐᲤᲮᲘᲚᲘᲗ ათი ათასობით ტურისტი ესტუმრება ხოლმე საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს მარგალიტს — მზიურ აფხაზეთს.

ზღვის დონიდან ორი ათას მეტრ სიმაღლეზე, პოპულარული მთიანი კურორტის აუდახარის მახლობლად საქინფორმის ფოტოკორესპონდენტი შეხვდა კოსტიუჩენკოების ოჯახს უკრაინის ქალაქ ჩერნოვცოდან.

ოჯახის უფროსი ანატოლი კოსტიუჩენკო ინჟინერია, მისი მეუღლე მარიამი — პედაგოგი. ისინი პატარა ქალიშვილთან — ლუდმილასთან ერთად ეწვევიან რიწის ტბას, გაგრასა და სოჭს.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ: კოსტიუჩენკოების ოჯახი დასვენების დროს; ოჯახური მოგზაურობის მორიგი ეტაპი — რიწის ტრასის ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე — იუშარის კარიბჭე.

Ი. ᲞᲝᲢᲝᲜᲔᲚᲘᲫᲘᲡ ფოტო (საქინფორმის ფოტოკორონიკა).

Ვ. Გ. ᲒᲝᲙᲘᲔᲚᲘ



68 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა 1940 წლიდან სკკპ წევრი, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ჯანმრთელობის დაცვის სექტორის გამგე ვახტანგ გაბრიელის ძე გოკიელი.

ვ. გოკიელი დაიბადა 1910 წელს ქალაქ ქუთაისში ექიმის ოჯახში. აქვე მიიღო საშუალო განათლება და შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში, რომელიც 1933 წელს დამთავრა.

დიდი სამამულო ომის დაწყებამდე ვ. გოკიელი მუშაობდა ბორჯომის ფიზიოთერაპიული სანატორიუმის ექიმ-თერაპევტად, კურორტოლოგიის ინსტიტუტის სექტორის გამგედ, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის კათედრის ასისტენტად.

1941 წლიდან დიდი სამამულო ომის დამთავრებამდე ვ. გოკიელი საბჭოთა არმიის რიგებში იყო — მეთაურობდა სამედიცინო-სანიტარიულ ბატალიონს, იყო არმიის ქირურგიული საველე ჰოსპიტლის უფროსი.

ომის დამთავრების შემდეგ ვ. გოკიელი აქტიურ სამკურნალო-ორგანიზაციულ მუშაობას ეწევა როგორც საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე. 1948 წლიდან 1953 წლამდე იგი გაგრის, შემდეგ კი ბორჯომის საკურორტო სამმართველოს დირექტორია. 1953 წელს ვ. გოკიელი დაინიშნა მთავარ სახელმწიფო სანინსპექტორად, შემდეგ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანეპიდსამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1955 წლიდან ვ. გოკიელი მუშაობდა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატში, მეთაურობდა ჯანმრთელობის დაცვის სექტორს. იგი აქტიურად მონაწილეობდა თთავრობის იმ ბევრი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მომზადებასა და პრაქტიკულ რეალიზაციაში, რომელთა მიზანი იყო რესპუბლიკაში ჯანმრთელობის დაცვისა და სოციუზრუნველყოფის განვითარება.

ვ. გოკიელმა, რომელიც ფიზიოლოგიისა და კურორტოლოგიის დარგში მთელი რიგი სამეცნიერო ნაშრომების ავტორი იყო და ორგანიზაციული მუშაობის მდიდარი გამოცდილება ჰქონდა, შესამჩნევი წვლილი შეიტანა მედიცინის მეცნიერებისა და პრაქტიკის დაახლოების საქმეში.

ვ. გოკიელის ნაყოფიერი და ხანგრძლივი სამხედრო და სამედიცინო საქმიანობა აღინიშნა I და II ხარისხის სამამულო ომის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და მრავალი მედლით.

მთელი მისი ცხოვრება პარტიისა და ხალხის ინტერესების პატიოსანი სამსახურის მაგალითია.

მაღალკვალიფიციური სპეციალისტის, შესანიშნავი ადამიანისა და ამხანაგის ვახტანგ გოკიელის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობა, პარტიული კომიტეტი და პროფკავშირის ადგილობრივი კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1979 წლის 4 ივლისს 68 წლისა გარდაიცვალა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის ჯანმრთელობის დაცვის სექტორის გამგე, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი, 1940 წლიდან სკკპ წევრი

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡ ᲫᲔ ᲒᲝᲙᲘᲔᲚᲘ

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

□ 9 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში“ (მ.), 16.30 — აბიგურიენტთათვის — ბიოლოგია (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.30 — აბიგურიენტთათვის — მათემატიკა, 18.00 — მუსიკალური შესვენება, 18.05 — „გაკეთე ჩვენთან ერთად, ჩვენსავით, ჩვენზე უკეთ“ (გადმოცემა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან), 19.05 — „ვესნიკი“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.35 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.45 — „ღვეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — „ქართული ფილმი“ — საუბილეო კინოჩვენება მხატვრული ფილმი „სამანიშვილის დედინაცვალი“, 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — — „შეხვედრა სიმღერასთან“ — ეთერ ჭელიძე (ფ.).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 17.15 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ოკეანე“ (ფ.), 17.55 — განცხადებები (ფ.), 18.00 — კონცერტი, 18.30 — „პირველად ჩვენს ეკრანზე“ — მხატვრული ფილმი „ოპერაცია სგამბოლში“.

□ 10 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში“ (მ.), 16.30 — აბიგურიენტთათვის — ქართული ენა (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.20 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“ — მხატვრული ფილმი — „ალისფერი ყვავილი“ (ფ.), 18.30 — მოსწავლეთათვის „ეცოდინა“, 19.05 — დოკუმენტური ფილმი „სამშობლოს საკეთილდღეოდ“ 19.30 — „სოციალისტური შეჯიბრების დღიური“, 19.45 — „ღვეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — ნაესტრადო კონცერტი — მღერის ნინა ბესიაძე (ფ.), 21.00 — კინოჟურნალი, 21.10 — კინოეპოპეა — „დიდი სამამულო“ — „ომის ბოლო ბრძოლები“. ფილმი მეცხრამეტე (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „მუსიკალური სიინჯაღი“.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 17.15—„ჩვენს დიად სამშობლოში“, საგელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „ფსკოვი“, „სუმიპალატინსკი“, „ეზოვი“ (ფ.), 18.15 — განცხადებები (ფ.), 18.20 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.40 — ქართული მხატვრული ფილმი — „გზა მშვიდობისა, ჯაყო“.

□ 11 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში“ (მ.), 16.30 — აბიგურიენტთათვის — მათემატიკა (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმები, 17.35 — „მშვიდობით, მშობლიურო სკოლავ“ (განმეორებით. ფ.), 18.35 — „საერთაშორისო დღიური“ (ფ.), 18.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00 — „ვერნისაჟი“, 19.35 — კინონარკვევი, 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — საგელევიზიო მხატვრული ფილმი „არეული კი“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „უყრავს მანანა დოიჯაშვილი“ (ფ.), 23.05 — „სპორტული მიმოხილვა“ (ფ.).

□ 12 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში“ (მ.), 16.30 — აბიგურიენტთათვის — ფიზიკა (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — „ბავშვის საერთაშორისო წელი“. მხატვრული ფილმი „უკანასკნელი ორიონი“, 18.25 — „ბავშვებისათვის — კონცერტი „ჩიგიგვრიგი“ (ფ.), 18.55 — „დეპუტატე და ცხოვრება“, 19.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.00 — ფეხბურთი საბჭოთა კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო“-ბაქოს „ნეფთჩი“. გრანსლაცია თბილისის 3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან (ფ.), 21.45 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვარჯიში“ (ფ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 22.35 — „საესტრადო პანორამა“ (ფ.).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 17.15 — „ქართული თეატრის წარსულიდან“. ნაგო გაბუნია (ფ.), 17.50 — მულტიპლიკაციური ფილმები, 18.35 — განცხადებები (ფ.), 18.40 — ქართული მხატვრული ფილმი „ჯანყი გურიაში“. პირველი სერია.

□ 13 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში“ (მ.), 16.30 — აბიგურიენტთათვის — ქიმია (ფ.), 17.00 — განცხადებები (ფ.), 17.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 17.15 — ბავშვებისათვის კინოგვიგრიგი (ფ.), 17.45 — „კინომოზაიკა“, 18.35 — „კადრები წვიტგენ ყვავიფერს“, 18.55 — „ელოიზესი“ (ფ.), 19.45 — „დღეს მსოფლიოში“ (მ.), 20.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 20.30 — ქართული საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქართული ღვინო“, პრემიერა (ფ.), 20.40 — ქართული საგელევიზიო ფილმი „მწირი“ (ფ.), 21.05 — კინოეპოპეა „დიდი სამამულო“ — „უცნობი ჯარის კაცი“. ფილმი მეოცე (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ღღეს სხვანაირი სიცოცხლე ვიგრძენ...“ (გერენები გრანელის დაბადების 80 წლისთავის გამო. ფ.).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 17.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შუქი სახეზე“ (ფ.), 18.20 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.45 — განცხადებები (ფ.), 18.50 — ქართული მხატვრული ფილმი „ჯანყი გურიაში“. მეორე სერია.

□ 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში“ (მ.), 10.05 — „ბურაგინის გამოფენა“ (მ.), 10.35 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მ.), 11.05 — მოსწავლეთათვის — „მხიარული შეჯიბრება“ (ფ.), 11.55 — „თბილისი და თბილისელები“ (ფ.), 12.25 — აბიგურიენტთათვის — „ახალგაზრდა ირჩევს პროფესიას“, 12.55 — „დილის ფოსტა“ (მ.), 13.25 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 14.10 — მულტიპლიკაციური ფილმი, 14.20 — ქართული ხალხური სიმღერები, 14.45 „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 15.30 — კინონარკვევი, 15.45 — „ხვალ მეგალელების დღეა“ — საბჭოთა კავშირის 3. ფ. ლომაკის გამოსვლა (მ.), 16.00 — „ჩვენი ლაშქარი“, 16.20 — „საგელევიზიო მისალები“, 17.20 — „ქართული ფილმი“ — საუბილეო კინოჩვენება მხატვრული ფილმი „ჭირვეული მეზობლები“, 18.35 — დოკუმენტური ფილმი, 18.45 — „ავაფერთხილდეთ ეროვნულ საუნჯეს“, 19.20 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.50 — „ბოლო ლექციები“ (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ბალეტი ლაურენსიაზე. პიანისტი ნ. ქალამაძე (ფ.).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 15.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „ჩამოსული ქალი“, 17.10 — — კონცერტი, 17.30 — „გურამ სალარაძე“ (ფ.).

□ 15 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 10.05 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.10 — დოკუმენტური ფილმი „ბირიუკოვების ოჯახი“, 10.30 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მ.), 11.00 — ბავშვის საერთაშორისო წელი — ქართული მხატვრული ფილმი — „არდადეგები“, 12.10 — „ბუზიუმებსა და საგამოფენო დარბაზებში“ — „ლუვრი“, პოლანდიური, ფლამანდური, გერმანული და ესპანური ფერწერა (მ.), 12.40 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.15 — ბავშვებისათვის — კონცერტი (ფ.), 13.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 14.45 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 15.30 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცოცხალი პალიტრა“ (ფ.), 15.00 — „ხუთწლედი წელი მეოთხე“, 15.45 — „კინოს მოყვარულთათვის“, 17.05 — „კინომოზაურობის კლუბი“ (მ.), 18.05 — „დღეს მეგალელების დღეა“ — საბჭოთა კავშირის ფერადი მეგალელების მინისტრის 3. ფ. ლომაკოს გამოსვლა (მ.), 18.20 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — „ფარაგი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — ბასტილიის აღების დღის გამო“, საფრანგეთის გელევიზიის პროგრამა (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ბალი ლაურენტი. პიანისტი ნ. ქალამაძე (ფ.).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 18.00 — „ბავშვის საერთაშორისო წელი — მხატვრული ფილმი „ჩემი მეგობარი კოლეა“. 19.20 — კონცერტი.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲒᲠᲘᲚᲝᲗ



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 17.20 — „ჩვენს დიად სამშობლოში“ — დოკუმენტური ფილმი „მილიონთა მხატვრული შემოქმედება“ (ფ.), 18.20 — განცხადებები (ფ.), 18.25 — მხატვრული ფილმი „ეს მე არ მეხება“ (ფ.).

ᲤᲘᲢᲜᲔᲠᲘ

7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 09.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 09.40 — „დილის ვარჯიში“ (მ.), 10.05 — ჩვენს დიად სამშობლოში — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „ბირიუკოვების ოჯახი“, 10.30 — „თქვენთვის, მშობლებო!“ (მ.), 11.00 — ბავშვის საერთაშორისო წელი — ქართული მხატვრული ფილმი — „არდადეგები“, 12.10 — „ბუზიუმებსა და საგამოფენო დარბაზებში“ — „ლუვრი“, პოლანდიური, ფლამანდური, გერმანული და ესპანური ფერწერა (მ.), 12.40 — „დილის ფოსტა“ — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.15 — ბავშვებისათვის — კონცერტი (ფ.), 13.45 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 14.45 — „ჯანმრთელობა“ — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 15.30 — საგელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცოცხალი პალიტრა“ (ფ.), 15.00 — „ხუთწლედი წელი მეოთხე“, 15.45 — „კინოს მოყვარულთათვის“, 17.05 — „კინომოზაურობის კლუბი“ (მ.), 18.05 — „დღეს მეგალელების დღეა“ — საბჭოთა კავშირის ფერადი მეგალელების მინისტრის 3. ფ. ლომაკოს გამოსვლა (მ.), 18.20 — მულტიპლიკაციური ფილმი, 18.30 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა (ფ.), 19.00 — „საერთაშორისო პანორამა“ (მ.), 19.45 — „ფარაგი ხალხის ეროვნული დღესასწაულის — ბასტილიის აღების დღის გამო“, საფრანგეთის გელევიზიის პროგრამა (მ.), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „ბალი ლაურენტი. პიანისტი ნ. ქალამაძე (ფ.).

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ: 15.30 — პირველად ჩვენს ეკრანზე მხატვრული ფილმი „ჩამოსული ქალი“, 17.10 — — კონცერტი, 17.30 — „გურამ სალარაძე“ (ფ.).

ᲛᲝᲣᲐᲢᲝᲠᲘ

7 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ᲛᲔᲓᲔᲐ** (22-ე აპრ. მეოთხე წარმ.); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — (პროფკავშირების კულტურის სასახლეში, ვაჟა-ფშაველას გამზ. № 43) — **ᲫᲕᲔᲚᲘ ᲯᲐᲚᲘᲗ**; ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული (მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში) — **ᲛᲔᲣᲮᲡᲠᲘ ᲮᲐᲜᲘᲡᲓᲦᲔᲑᲘ**; ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ᲩᲐᲠᲚᲘᲜᲘ ᲓᲘᲜᲔᲯ**; საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია (მეგობრის პალგიოზე) — **ᲞᲘᲜᲙᲐᲚᲣᲠ-ᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲐᲚᲘᲡ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘ „ᲠᲘᲠᲐ“**.

ᲡᲐᲣᲙᲕᲠᲐᲚᲓᲦᲔᲑᲝᲚ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭოს № 770 ამა წლის 18 ივნისის განკარგულების თანახმად, 8 ივლისს 12 საათიდან 9 ივლისის 24 საათამდე მოეწყობა ორჯონიკიძე-ფასანაურის მაგისტრალური გზასადენის გამოცდა მაღალი წნევით.

გამოცდის პერიოდში საქართველოს სამხედრო გზის ორჯონიკიძე-ფასანაურის უბანზე აკრძალულია ყოველგვარი სახის ტრანსპორტისა და ხალხის მიმოსვლა, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოთა წარმოება გზასადენიდან 200 მეტრზე ახლოს.

ᲛᲝᲛᲧᲐᲚᲐᲥᲔᲜᲝᲜ! თავიდან რომ ავიცილოთ უბედური შემთხვევა, ნუ მიუახლოვდებით გზასადენს აღნიშნულ მანძილზე უფრო ახლოს.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲡᲐᲥᲢᲠᲐᲜᲡᲒᲐᲖᲔ“.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡ, ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ, ᲓᲣᲬᲘᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲧᲐᲖᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲘᲡ

ᲡᲐᲣᲙᲕᲠᲐᲚᲓᲦᲔᲑᲝᲚ!

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ მინისტრთა საბჭოს № 770 ამა წლის 18 ივნისის განკარგულების თანახმად, 8 ივლისს 12 საათიდან 9 ივლისის 24 საათამდე მოეწყობა ორჯონიკიძე-ობილისის მაგისტრალური გზასადენის გამოცდა მაღალი წნევით.

გამოცდის პერიოდში საქართველოს სამხედრო გზის ორჯონიკიძე-ფასანაურის უბანზე აკრძალულია ყოველგვარი სახის ტრანსპორტისა და ხალხის მიმოსვლა, სასოფლო-სამეურნეო და სხვა სამუშაოთა წარმოება გზასადენიდან 200 მეტრზე ახლოს.

ᲛᲝᲛᲧᲐᲚᲐᲥᲔᲜᲝᲜ! თავიდან რომ ავიცილოთ უბედური შემთხვევა, ნუ მიუახლოვდებით გზასადენს აღნიშნულ მანძილზე უფრო ახლოს.

ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲡᲐᲥᲢᲠᲐᲜᲡᲒᲐᲖᲔ“.

„ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔ